

N 01/088
21.02.2019

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს,
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

როგორც თქვენთვის ცნობილია შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“ საქართველოს მთავრობასთან 2016 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე საშუალაზე ახორციელებს ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის (საშუალა 1 ჰესი და საშუალა 2 ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტს.

სამშენებლო სამუშაოების პარალელურად წარმოებული დამატებითი კვლევების (მათ შორის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის) შედეგების მიხედვით და საპროექტო დერეფნის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური თუ სხვა სახის ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით საჭირო გახდა პროექტში გარკვეული ცვლილებების შეტანა. ცვლილება ძირითადად გულისხმობს საპროექტო დერეფნის ცალკეული მონაკვეთების მარშრუტის მცირედით კორექტირებას. გარდა ამისა მცირედით შეიცვალა ზოგიერთი ნაგებობის ადგილმდებარეობა და მათი პარამეტრები, რამაც გააუმჯობესა მათი ჰიდრაულიკური მონაცემები.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-6, მე-7 და მე-8 მუხლების მოთხოვნების გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშს.

წერილს თან ერთვის:

- სკოპინგის ანგარიშის ნაბეჭდი ვერსია – 1 ეგზემპლარი;
- სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“-ს რეგისტრაციის თაობაზე.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შესაძლებლობის შემთხვევაში, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის საფუძველზე, შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“-ს სახელზე გასცეთ პროექტში შეტანილი ცვლილებების სკოპინგის დასკვნა.

პატივისცემით,

გიორგი შუკაკიძე

დირექტორი

